საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/133 „20" ივნისი 2019 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## „სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის №1/290 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის №1/290 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების კითხვარი (დანართი №2)" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დანართი №2**

## სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების კ ი თ ხ ვ ა რ ი

**ძვირფასო ქალბატონო/ბატონო,**

წინამდებარე კითხვარი დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის №1/290 გადაწყვეტილებით და ემსახურება მართლმსაჯულების ხარისხის შეფასების მიზნით სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრას.

თქვენი მოსაზრებები და წინადადებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ მადლიერი ვიქნებით, თუ თქვენ დროს დაუთმობთ ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას. თქვენ მიერ მითითებული პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის - მართლმსაჯულების სისტემის მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კონფიდენციალურობა გარანტირებულია.

**სახელი, გვარი ______________________ (*მითითება სავალდებულო არ არის)**

**რა სტატუსით ხართ სასამართლოში?**

ადვოკატი ☐ პროცესის მონაწილე პირი ☐

პროკურორი ☐ მოქალაქე ☐

**რა კატეგორიის საქმეზე იყავით სასამართლოში?**

სამოქალაქო ☐ ადმინისტრაციული ☐

სისხლის სამართლის ☐ არ ვიცი ☐

**გამოიტანა თუ არა სასამართლომ გადაწყვეტილება თქვენს სასარგებლოდ?**

დიახ, სრულად ☐ არა ☐

დიახ, ნაწილობრივ ☐ არ წარმოვადგენდი მხარეს ☐

**კითხვარი შევსებულია:**

სხდომაზე შესვლამდე ☐ სხდომის შემდეგ ☐

| | | ვეთანხმები | არ ვეთანხმები | უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები | უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები | არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა | შენიშვნა/ რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სასამართლოს ვენდობი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2. | სასამართლო არის მიუკერძოებელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 3. | სასამართლო არის დამოუკიდებელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4. | სასამართლო იღებს კანონიერ გადაწყვეტილებებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 5. | სასამართლო პროცედურები ხორციელდება გონივრულ ვადაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 6. | მოსამართლეები არიან კომპეტენტურები/კვალიფიციურები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 7. | მოსამართლეები პატივისცემითა და თავაზიანად ეპყრობიან მოქალაქეებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 8. | კმაყოფილი ვარ სასამართლოს მომსახურებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9. | სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადოდ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილება მკაფიო და გასაგებია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 10. | სასამართლო სისტემაში არ არის კორუფცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 11. | სასამართლოს აპარატის მოხელეები არიან პროფესიულად კომპეტენტურები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 12. | სასამართლოს აპარატის მოხელეები პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობიან მოქალაქეებს | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 13. | სასამართლოს აპარატის მოხელეები არიან ხელმისაწვდომი მოქალაქეებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 14. | სასამართლოს აპარატის მოხელეები მოქალაქეთა მოთხოვნებზე/შეკითხვებზე პასუხს სცემენ დროულად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 15. | სასამართლოს საინფორმაციო სამსახურის/თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის მკაფიო და გასაგები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 16. | სასამართლოს კანცელარია მოქალაქეებს ემსახურება ეფექტურად | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

გთხოვთ, შეავსეთ კითხვარი და შემდეგ მოათავსეთ ის სასამართლოს მისაღებში განთავსებულ ყუთში.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი